

იხამს: ოთხას ორმოცდა ათი ათას მანეთს წელიწადში ერგება თერამეტი ათასი მანეთი.

ქუთაისის თავად-აზნაურობამ წარსულ მარტის ოცდა რვას ამოიჩრია კამისიას შესადგენათ თითო მაზრაში სამ სამი კაცი, რომელთაც დაეალა ორი დიდი საქმე: ერთი ის, რომ გამოანახონ საუკეთესო კანონიერი საშუალება ბანკიდან სათავად-აზნაურო კაპიტალის გამოსატანათ და მეორე შეადგინონ ვრცელი პროგრამა, თუ როგორ დაიხარჯოს მისი შემოსავალი იმერეთის ახალგაზღვრების განათლების საქმეზე.

პირველი საქმის ასახულებლათ ყველას ემჯობინება, რომ კამისიამ განიხილოს სია ბანკის დამფუძნებელ თავად-აზნაურთა და თითოეულ მაზრიდან ამორჩეულმა კამისიის წევრებმა აიღონ ვეჭილობა თავის მაზრაში მყოფ დამფუძნებელთაგან და ამ ვეჭილობის ძალით მიიღონ ფულები მიხაილოვის ბანკიდან სათავად-აზნაურო კაპიტალის შესადგენათ. ეს ყველაზე ადვილი და ჩქარი საშუალება იქნება. ხოლო რაიცა შეეხება მეორე საქმეს, ეს უფრო რთული საგანია და მას ასე თუ ისე გადაწყვეტას ეჭირება ხანგრძლივი და დაკვირვებული მოსაზრება. ამისათვის საჭიროა კამისიის წევრებმა საერთო შეთანხმებით დრო დანიშნონ ქ. ქუთაისს კრებებისათვის.

ჩვენი მხრით გვინდა შექმნებისამებრ მიუუთითოთ იმ მასალაზე, რომელ-ც ასე თუ ისე უნდა გამოადგეს კამისიის წევრთა პროგრამის შესადგენათ.

როგორც ზემოთ ვთქვი, თუ იმერეთის თავად-აზნაურობის კაპიტალი პირველი და მეორე აღმოსავლეთის სესხის ქალაქებში დაბინავდა, მას უეჭველათ ექნება წელიწადში ოთხი პროცენტი, ანუ მთელ კაპიტალზე წლიურათ თერამეტი ათასი მანეთი. ეს ფული უნდა გაიყოს ორ ნაწილათ თანხმით პროფესორი პეტრააშვილის აზრისა: ნახევარი, ესე იგი ცხრა ათასი მანეთი, უნდა გადაიდვას იმერეთის მიწის შეილების გამოსაზრდელათ რუსეთის უმაღლეს და საზღვარგარეთის სასწავლებლებში. საშუალო სტიპენდია წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს თითო ყმაწვილზე ხუთას მანეთს; მათსადამე ცხრა ათასი მანეთი ყოველ წელიწადს გამოგვიზრდის თერამეტი ახალგაზღვრულს, ამათში ცხრა ყმაწვილი რომ საზღვარგარეთ იქნეს გაგზავნილი და ცხრა რუსეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, ამას არა ემჯობინება. რაიცა შეეხება მეორე ნახევარს კაპიტალის წლიური მოგებისას, ესე იგი ცხრა ათას მანეთს—ეს უნდა გადაიდვას ერთი საქალაქო სასწავლებლის გასახსნელათ ქ. ქუთაისს. საქმე იმაშია, როგორი ტიპის უნდა იქნეს ეს იმერეთის საქალაქო სასწავლებელი?

ამის ასახსნელათ საჭიროა მივაქციოთ ყურად-

ღება არსებით მდგომარეობას ჩვენი ახლანდელი ოჯახისას და მის ეკონომიურ ვითარებას. დღეს-დღეობით სოფლის და ქალაქის ოჯახს დიდი მოთხოვნილება აქვს. ოჯახის კეთილმდგომარეობას არ აკმაყოფილებს მარტო მამა-კაცის შრომა. ორივე სქესმა თანასწორი შრომა უნდა გააწიონ, რომ ოჯახის მოთხოვნილებას გაუძღვენ და შეილები აღზარდონ. ამ ზოგადობის ასრულებას მარტო მამა-კაცი ვეღარ აუღის. დედა-კაცმაც თუ თავისი შრომის და ცოდნის ნაყოფი არ შეიტანა, ისე ოჯახის კეთილი მდგომარეობა აღარ ხერხდება. მაკალითათ თუ ქმარი ვაჭრობას მიდევს და აქვს თავისი სავაჭრო მაღაზია (სადგომი), უეჭველათ მის ცოდნასაც უნდა ესმოდეს ვაჭრობის საქმე, უნდა იცოდეს ბუნხალტერია, საქონლის ფასები, ბაზრის მოთხოვნილება და მაზნადის ვითარება. როდესაც ქმარი მიდის შორს ქვეყანაში სავაჭროთ, მის ცოდნა იმდენი ცოდნა და გამოცდილება უნდა ჰქონდეს, რომ ქრმის სავაჭრო მაღაზიაში თავდარიგის მიმცემი ის უნდა იყოს. ამნაირათვე უნდა უწყობდეს ხელს ცოლი თავის ხელოსან ქმარს, მეურნეს, და ყოველნაირ პროფესიონალურ ხელობის მწარმოებელს. დღეს ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ისეთია, რომ უშრომით ვერც თითოეული კაცი, ვერც ოჯახი თავს ვერ გაიკვებს. ყოველი სრულიწლოვანი მამა-კაცი და დედა-კაცი უნდა მუშაობდეს შესაფერათ თავისი ხელობისა და მიენახობისა. ჰყავს თუ არა ასეთი უღლის მწვევლი დედა-კაცი ჩვენებურ სოფლის ან ქალაქის ოჯახობას? სრულებით არა. ასში რომ ერთი იქნეს ჩვენში დედა-კაცი, რომ ღირსეულათ ემსახურებოდეს თავის ოჯახს, ისიც დიდია. მაშასადამე საჭიროა გაემართოთ ისეთი პროფესიონალური საქალებო სკოლა, რომ იქ გამოზდილა ქალი გაუძღვეს დღევანდელი ოჯახის მოთხოვნილებას და ცხოვრების ასპარეზზე თანასწორი უღელი უწიოს მამა-კაცს.

მომავალ ქართულ დედათა სკოლას უნდა ექნეს განსაკუთრებით პროფესიონალური სკოლის მნიშვნელობა: ამ სკოლაში ქართველი ქალი უნდა სწავლობდეს ყოველნაირი დარგის საოჯახო მოხეობას: პროტუკის მოვლას, შინაური წვრილფეხის ღოშენებას, მეზღაბამებოსტობას, ყველის, ერბოს და კარაქის კეთებას, ყანების კეთებას, მევენახობას, ღვინის დაყენებას, პურის და მჭადის ცხობას, მზარეულობას, აბრეშუმის მოყვანას, მეფუტკრეობას, ყოველნაირ ქსოვას და ყანა სხელობას, ჯეჯიმების, ფარდაცების და ხურჯინების კეთებას, შალების და ნაბდებს თელვას, ქრა-კერვას, ბუნხალტერეას, საშინაო ეკონომიკის ინვენტარისა და ვაჭრობის წესრიგ-გონების განვითარება ასეთ პროფესიონალურ სკოლაში უნდა იყოს ბუნებრივ ენაზე; მოსწავლე ქალმა უნ-

და შეიძინოს იმდენი ცოდნა, რომ ყველა ზემოხსენებული ხელობის შეთვისება სწრაფათ და ცნობიერათ შეეძლოს. ბავშვების მოვლის და აღზრდის შესწავლა პირველი საგანი უნდა იყოს მათთვის. ამას შემდეგ ბუნების მეცნიერებას, ჰიგიენას და ქალის ავთომყოფობების შესწავლას დიდი ადგილი უნდა ეჭიროს. მან უნდა ისწავლოს ქართული ენის საშუალებით სახელმწიფო ენა, ესე იგი რუსული და ერთი რომელიმე უცხო ენა. მაგრამ სახელმწიფო და უცხო ენების სწავლება უნდა იყოს დამყარებული უფრო პრაქტიკულ მეთოდზე, ვიდრე თეორიულზე. არც ერთი ახლანდელი სკოლების პროგრამა სწავლებისა ჩვენ მომავალ დედათა სკოლას არ გამოადგება და არც უნდა იყოს მიღებული. მისი გონებრივი განვითარების მასალა შეთანხმებული უნდა იყოს მის პრაქტიკულ პრაქტიკულ სიონალურ ცოდნასთან.

გ. წყეტული.

სხვა-და-სხვა ამბავი.

სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს 30 ათასი მან. ვადადვას კავკასიის ზოგიერთა მდინარის კალაპოტის გასასწორებლათ და ნაპირების გასამაგრებლათ. განსაკუთრებით, რიონის ნაპირებია გასამაგრებელი და კარგი იქნება ამ ფულიდან რამდენიმე ამ საქმესაც მოხმარდებოდეს.

თფილისის თვითმართველობამ ნება მიიღო ვადანახადი დააწესოს ძალღებზე, თვითოვეულზე არა უმეტეს ათი შაურისა.

როგორც ამბობენ, თფილისის ცხენის რკინის გზის დირექტორს ამ გზის როგორც მოსამსახურენი ისე მგზავნიც დაუზღვევია პეტერბურგის ერთ დამზღვევ საზოგადოებაში. თუ რაიმე უბედურობა მოხდა და დაზღვეული დაშავდა, საზოგადოება აძლევს ჯილდოს იმის მიხედვით თუ რის მომგები და რა საქმის იყო დაშავებული. და აი ეს ამბავი არაინ იცის, არ იცის თვით მოსამსახურებმაც. ბ. რობი ამას საიდუმლოთ ინახავს ეს რამდენიმე თვეა. ამ ხნის განმავლობაში ვინმე მაინც ხომ დაშავდებოდა და მან კი არ იცის ამისათვის ჯილდო რომ ერგება. ან შეიძლება ეს ჯილდო უკვე აიღეს მისი სახელით?..

კავკასიის უმაღლეს მთავრობას აფხაზეთში გაუგზავნა თავისი მოხელე თავ. მამაკოვი, აფხაზეთის და სამურდაყანოს მცხოვრებთა უფლებების გამოასარ-

კვევით. იგივე მოხელე უზამს რევიზიას მომრიგებელ-შუამავალთ და მამულების გამმიჯნველ მოხელეებს.

„რუსეთის უწყებები“ წერენ: სასულიერო უწყებამ განკარგულება მოახდინა, რომ იმ სოფლებში სადაც არა-რუსენი ცხოვრობენ, ღვთის მსახურება ადგილობრივ მცხოვრებთა ენაზე უნდა სრულდებოდეს; იქ სადაც ორი სხვა-და-სხვა ტომის ხალხი ცხოვრობს — ორს ენაზე, სადაც სამი — სამზე, — ხოლო ხან-და-ხან, ძალიან იშვიათათ, სლავიანურათაცო.

დ. ოჩამჩირის ახლო დიდძალი ქვა-ნახშირი აღმოჩენილა, რის საწარმოებლათ აქციონერული საზოგადოება დგება. თვისებით ეს ნახშირი ძალიან კარგი ყოფილა, ტყიბულისას გაცილებით ჯობსო.

ქვემო ქიზიყის მეცხვრეთ ერთმანეთს შორის პარობა შეუკრათ, შემოდგომის მატყლს წინდაწინვე მიყიდვა ჩარჩი-ვაჭრებზე არც ერთს არ შეეძლოს. პირობის დამრღვევი იხდის 100 მ. ჯარიმას.

ცნობილი რუსული ჟურნალი „Русское Богатство“ მთავრობას შეუჩერებია სამი თვით.

მოსკოვიდან გვწერენ: აქ 28 აპრილს უნივერსიტეტის საკლინიკო აუდიტორიაში საჯაროთ ფარმაციის მაგისტრობის დისერტაცია დაიცვა ბ. ივანე სოფრომის ძე ტყემელაშვილმა. დისერტაციის საგანია გამოკვლევა მცენარის „Dipterocarpus trinervis Blume u Dipterocarpus turbinatus gaerner fil“, въ гистологическо-фармакогносическомъ отношеніи и бальзамъ ими доставляемый. ეს ინდოეთის მცენარე ცნობილია „ეურიუნ-ბალზამის“ სახელით, როგორც სამკურნალო საშუალება ადამიანისა და ცხოველებისათვის და აგრეთვე ხმარობენ ლაქისათვის და ხის გასაპრიალებლათ.

დისერტაციის ოფიციალურმა ოპონენტებმა ბ. ივ. ტყემელაშვილის გამოკვლევა ღირსათ იცენეს ფარმაციის მაგისტრობის მიღებისა და ზოგიერთ ტექნიკების შეკამათების შემდეგ მიულოცეს მას ასეთი ხარისხის მიღება, უსურვეს ამ სფერაში მუშაობა და კავკასიის მცენარეების სამკურნალო და საბატანიკო მხრით გამოკვლევა.

როგორც ჩანს ფაკულტეტის მიერ შეკრებილ ცნობებიდან ბ. ივ. ტყემელაშვილი ქ. ქუთაისის მცხოვრებია; იქაურ გიმნაზიაში მაუღია პირველ-დაწყებითი განათლება. პირველათ აფთიაქში 1884 წ. შესულა; 1887 წ. დაუჭერია თანაშემწის ევზამენი და 1891 წ. უნივერსიტეტში უსმენია ლექციები და პრაქ-

ტიკულათ ლაბორატორიაში უმუშაენია. 1894 წ. მიუღია პრავიზორობა, ხოლო 1896 წ. მაგისტრის ხარისხის ეგზამენები მიუცია. იგი პირველი ქართველია კავკასიიდან ფარმაციის მაგისტრობის ხარისხის მიმღები და როგორც შრომის მოყვარე კაცი შემდეგშია ცნაგრძობს თვის სპეციალურ სავანში შრომას...

„კვალის“ კორესპონდენცია.

ბათომი. უთუოთ არა ერთხელ და ორჯელ ვიკითხავთ „კვალში“ კორესპონდენტთა ჩივილი: ბათომში მუშა ხალხი თან-და-თან მრავლდება, თან-და-თან მატულობს მოთხოვნილება სახალხო ბიბლიოთეკაში, სახალხო იაფ ფასიან წარმოდგენებში, მარა მიუხედავად ამისა, იგინი ჩვენ არ მოგვეპოვებინაო. მართალია ბიბლიოთეკის გახსნაზე აქ კარგა ხანია რაც ლაპარაკი ატყდა ზოგიერთ ინტელიგენტთა შორის, ცოტა თანხაც კი შედგა, რის ვაიფაგლახით ნებართვაც კი მიიღეს მარა... მარა საქმეც იმაშია, რომ ამ „უმარაოთ“ ერთ ნაბიჯსაც ვერ ვაკეთებთ; გვერინა საქმე მივიყვანეთ ბოლომდის და საიდანაც არიყოს უცებ გამოხტება ეს „მარა“ და დაწყებულ საქმეს თავდაყირა დაასობს. თუ კი ვინმეს რამე გაუკეთებია და გასვლია, ეს მხოლოდ რჩეულებს, თავგამომდებ და ენერგიით სავსე ადამიანებს, რომელთა რიცხვი ბათომშიც 1-დან იწყება და ძლიერს ადის 2-რამდის, ამგვარ ენერგიულ ადამიანთა მეცადინეობით სახალხო წარმოდგენების დადგმაც თითქმის ბოლომდის მივიდა, მარა... აქაც ამ წყეულმა „მარამ“ იჩინა თავი. მოგეხსენებათ, ერთი და ორი არ კმარა სცენაზე... იმედია „მარას“ ბოლოს მოუღებენ და ეს ადამიანები ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცებენ, რომ მონდომებასა და ენერგიულ შრომას ვერაერთად დაბრკოლება წინ ვერ უდგება. თუ კი სახალხო წარმოდგენებზე იმედ გადაწყვეტილებს იმედი დაგვიბრუნეს, ბიბლიოთეკის გახსნაზედაც ჩაგვიწყეთეს გულში იმედი და, როგორც ხედავთ, პესიმისტები გაგვაოპტიმისტეს. მოგეხსენებათ, რომ პუშკინმა დიდი ღვაწლი დასდო რუსეთს. ჩვენც არ დაგეტოვა უღვაწლოთ და ეს ღვაწლი ჩვენც მოგვანიჭა. დღესასწაულზე მონაწილეობის მიღებაზე ადვილი დასათანხმებელი აღმოჩნდნენ აქაური ხმოსნები. აირჩიეს კომისია და მიანდგეს საბჭოსათვის მოგეხსენებინა, თუ რა „კეთილი საქმის“ შესრულებით პატივი სცენ პუშკინის ხსოვნას. კომისიამაც წარმოადგინა თავისი მოხსენება: ავაშენოთ „სახალხო სახლი“, სადაც სახალხო ბიბლიოთეკაც იქნება, სახალხო თეატრიც და სხვ.

თუმცა ჯერ საბოლოოთ არ გადაწყვეტილა ეს კითხვა, მარა სრული იმედი უნდა ეიქონიოთ, რომ ბიბლიოთეკა მაინც დაარსდება და ესეც დიდ მოწყალებათ და დიდ გამომეტებათ უნდა ჩავთვალოთ ჩვენი მამებისაგან. შეიძლება ამ ბიბლიოთეკამ ცოტა კიდევ მოიგვიანოს, მარა რუსული ანდაზისა არ იყოს, სულ გაუკეთებლობას, გვიან რომ ვაკეთდეს ის ჯობია. ასე და ამ გვართ ბიბლიოთეკის გახსნის იმედი ვეაქეს და სახალხო წარმოდგენებსაც მალე გამართვენ. მომილოცავს ბათომელ მუშებისათვის...

მ ამ თვეს მოხდა საბჭოს დარბაზში თვითმართველობის უფროსი წევრის არჩევა. კენჭი იყარეს საბჭოს წევრებმა ბ-ნმა ივანოვმა და ვოლსკიმ. არჩეულ იქმნა ივანოვი (ის წინეთაც იყო ამ თანამდებობაზე) 22 თეთრით წინააღმდეგ 17 შავისა. ვოლსკიმ მიიღო 21 თეთრი და 18 შავი. ყველა ხმოსანთათვის ცხადი იყო, რომ ბ. ვოლსკი უფრო მეტათ მშრომელი, უფრო მეტათ საქმის მკოდნეა, ვინემ ბ-ნი ივანოვი, მარა რალაც ახირებული მოსაზრებით ყოველივე ეს უკუ აგდეს...

X.

ს ა ზ ლ ვ ა რ - გ ა რ ე თ

ინგლისი. ინგლისის მთავრობამ წელს პირველათ მიანიჭა ირლანდიის სოფლის ხალხს უფლება სოფელთა მმართველობისა და გადასახადთა აკრეფისა, ხოლო ქალაქის თვით მართველობის საარჩევნო უფლებები გააფართოვა. თანახმათ ამ ახალი კანონისა, ქალაქის არჩევნები მოხდა იანვარში, რის შედეგიც „კვალის“ მკითხველთ ვაუწყეთ (№ 5). სოფლის თვით მართველობათა არჩევნები-კი გასულ აპრილში დასრულდა. აქაც, როგორც ქალაქებში, არჩევნებმა პოლიტიკური ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით შეიტაკენ მემამულენი (ლანდლორდები) და უმამულონი (ფერმერები და სხ.). პირველნი არიან ინგლისის მომხრე და ჰომრულის მოწინააღმდეგე, ხოლო მეორე ინგლისის მოწინააღმდეგე და ჰომრულის მომხრე. პირველის პოლიტიკური სახელია უნიონისტები, მეორეთა ნაციონალისტები. ამ უკანასკნელებისაგან ამ ბოლო დროს განვითარდა „შრომის პარტია“, რომელმაც დიდი გავლენა მოიპოვა ქალაქებში, სოფლებში კი ჯერ-ჯერობით სუსტია. ასე რომ უმთავრესი შეტაკება პირველ ორ პარტიას შორის ატყდა, საიდანაც გამარჯვებულნი გამოვიდნენ ნაციონალისტები. 670 არჩეულში 555 ნაციონალისტია, ოცი მუშათა პარტიის წარმომადგენელნი, დანარჩენი უნიონისტი. ამ უკანას-

ქნელთა შორის მხოლოდ ათიოდე დიდი მემამულეა და ისინიც აურჩევითად აღვილობრივი მიზნების და არა მათი პოლიტიკური რწმენის მიხედვით. ამ ნაირათ, ირლანდი ს ქალაქთა და პროვინციათა თვით მართველობა ერთიანად ჰომოზულურთა ხელშია და, ეჭვი არ არის, ინგლისს მოთხოვენ ირლანდიისათვის პარლამენტს. ამით მოსალოდნელია, ირლანდიელთა მოძრაობას უფრო კანონიერი და ერთსულობითი ხასიათი მიეცემა.

— ქალთა კითხვამ ალაპარაკა ინგლისის პარლამენტიც. ერთმა კონსერვატიულმა დეპუტატმა წინადადება შეიტანა, ახალ კანონ-პროექტში ლონდონის თვითმართველობათა შესახებ მოხსენებულ იყოს, რომ ქალებს ნება არ ჰქონდესთ ქალაქს თავათ და ხმონათ არჩეულ იქმნათ. ქალებისთვის ისიც კმა-რა, რომ საარჩევნო უფლება აქეთ, შეუძლიათ სხვა აირჩიონ, მარა ეს „სხვა“ უთუოთ მამაკაცი უნდა იყოსო. ამ წინადადების წინააღმდეგი შეიქმნა თვით მთავრობა, რომლის სახელით ბალფორმა თქვა შემდეგი: 1894 წ. პარლამენტმა ქალებს უფლება მიანიჭა როგორც ამრჩევლის ისე არჩეულის. ეს კანონში ნათლათ არის გამოთქმული, ახალი წინადადების მღება კანონის გაუქმება და ერთი ბიჯის უკან გადადგმა იქნება. ყოველგან, სადაც კი ქალები მსახურობენ, ჩინებული საქმეთამსეღვლობაა და არ ეიცო, რატომ ახლა უნდა ავუკრძალოთ თანამდებობათა მიღება. პირ-ჩქით, მე პირადათ ყოველთვის ამ აზრის ვარ, რომ ქალებს კდევ უფრო გაეფართოვოთ საარჩევნო უფლებები და პარლამენტის არჩევნებშიაც ხმა მიეცეთ და აქაც რომ ქალებმა პარლამენტში არჩევა მოითხოვონ, მე თვითონ, მათი უფლების დამცველი, წინააღმდეგი ვიქნებო. კონსერვატიული წინადადება ხმის უმეტესობით უარყოფილ იქნა. მარა მეორე კონსერვატორმა ეგვე წინადადება დაანაწლა და მხოლოდ პირველი ნახევარი ხელახალ წინადადებათ აქცია, სახელდობრ, ქალებს ნუ ექნებათ უფლება ქალაქს თავათ იქმნას არჩეული. და ეს გათვორდა მას შემდეგ, რაც მთავრობის იურისკონსულტმა განაცხადა. ქალაქის თავი იმავე დროს მსაჯულიც არის, ხოლო მსაჯულათ კი ქალი კანონით არ შეიძლება იყოსო. ასე რომ ქალებს შეუძლიათ ხმონსები იყვენ და თვითმართველობაში სხვადასხვა თანამდებობა ეჭიროთ, გარდა თაობისა. ამ ქამათ ლონდონის უბანთა საბჭოებში 17 ქალია არჩეული, ირლანდიის უკანასკნელ არჩევნებში აურჩევითად 4 ქალი ქალაქებში და 27 ქალი სოფლებში.

საშრანგეთი. საშრანგეთს კდევ დრეიფუსის საქმე აღვლევს. ეს ერთობ დაუსრულებელ საქმეთ გადაიქცა. ამ ქამათ ის იმით არის საყურადღებო,

რომ ერთმა გაზეთმა ხელში ჩაიგდო სამსჯავროს გამოძების პირი და კიდევაც გამოაქვეყნა. ასე, რომ ყოველი მკითხველს შეუძლია ამ საშუალების ძალით თავისი აზრი შეადგინოს. ეს აზრი შეიძლება იყოს ორნაირი: პირველათ, დრეიფუსი უკანონოთ იქმნა გასამართლებული. ეს მტკიცდება იქიდან, რომ მისი გასამტყუნებელი საბუთები აჩვენებს მხოლოდ მსაჯულთ და არა ბრალდებულს და მის დამცველს. და ამიტომ დრეიფუსს არ შეეძლო თავის დაცვა იმაში, რასაც მას თურმე აბრალებდენ და მან კი არ იცოდა. ეს კანონის აშკარა დარღვევაა. მეორეთ, გამოძებისაგან სრულებით არ მტკიცდება დრეიფუსის დანაშაულობა. მართალია არ მტკიცდება არც უდანაშაულობა, მარა ამს დამტკიცება არც კია საჭირო. საქმეს იძიებენ უდრეიფუსოთ, მაშასადამე ამას არ შეუძლია თავისი სიმართლე დაამტკიცოს. ხოლო როცა მთავრობა მას ბრალს ადებს, ბრალმდებელი მოვალეა მისი დანაშაულობა ნათელ ჰყოს და აი, ეს კი არა ჩანს გამოძებისაგან. აქედან ორი გამოსავალია: ან უნდა პირდაპირ გაუქმდეს დრეიფუსის პირველი პროცესი, ეთომ არც კი ყოფილა ეს საქმე და მით მთელ ამ ამბავს ბოლო მოეღოს, ან და დაინიშნოს ხელმეორე პროცესი და ამით გამოირკვეს ვინ არის ამ საქმეში ნამდვილი დამნაშავე. მთავრობა და შტაბი უფრო პირველის მომხრეა, ხოლო საზოგადო აზრი კი მეორისა, ვინაიდან მხოლოდ ამით შეიძლება გათელილი სამართლის აღდგენა და აღდგენილი უსამართლობის გათელვა. ჩვენი აზრით, ეს მეორე უნდა მოხდეს და მაშასადამე ბევრ საკერეველ ამბებსაც მოვეწრებით. განსაკუთრებით, ლენერლებს მოვლის საბრალდებულო სკამზე წამოსკუბება.

— გუშინ, 8 ამ თვეს, შესრულდა ასი წელიწადი მას შემდეგ, რაც საფრანგეთის გამოჩენილი ბელეტრისტი ბალზაკი დაიბადა. (გადაიცვალა 1850 წ.). ამის გამო ერთი სოციალისტი დეპუტატის წინადადებით, მთავრობამ გადაწყვიტა: მისი ნეშთი დაკრძალულ იქმნას დადებულ გვამთა აკლდამაში, რომელსაც პანტეონი ეწოდება. ეს ცერემონია უნდა მომხდარიყო პარიჟში გუშინ.

გერმანია. ამ დღეებში გერმანიის მთავრობამ გამოაქვეყნა გასული წლის რეინსტაქის არჩევნების სტატისტიკა, საიდანაც ერთ საყურადღებო გარემოებას ვტყობულობთ, სახელდობრ, რა ალაკას რომელი პარტიაა ძლიერი. მთელი გერმანია დაყოფილია სამათ: პირველი შეიცავს იმ ადგილებს, რომელთა მცხოვრები ორაათასზე ნაკლებია, ე. ი. სოფლებს; მეორე იმას, სადაც ორი ათასიდან ათი ათასამდე მცხოვრებია, ე. ი. პატარა ქალაქებს. ხოლო მესამე ათი ათასზე მეტ მცხოვრებთ ე. ი. საშუალო და დიდ

ქალაქებს და სამრეწველო ადგილებს, და აი, პირველი რიგის ადგილებში კლერიკალებს მიუღიათ 928,869 ხმა, კონსერვატორებს 632,820, ხოლო სოციალ-დემოკრატებს 563,852 ხმა; მეორე და მესამე რიგის ადგილებში ეს წყობა ბრუნდება და პირველ ალავს იჭერს სოციალ დემოკრატია (მეორეში — 437,439, და მესამეში 1,105,785 ხმით).

— ქ. დარმშტადში 19 აპრილს გარდაიცვალა ცნობილი სწავლული ლუდვიგ ბიუხნერი (დაიბადა 1824 წ.). ავით სახელოვანი ტრიუმფირატის — მოლენშოტ-ფონტ-ბიუხნერი — მესამე და უკანასკნელი წევრიც საფლავში ჩაეიდა. მან დაასრულა საექიმო ფაკულტეტი და დაინიშნა დოცენტათ ტიუბინგენის უნივერსიტეტში. ის იყო პროფესორობაც უნდა მიეღო, რომ მან დაბეჭდა ერთი პატარა წიგნი, (1855 წ.) რის გამო უნივერსიტეტიდან დაითხოვეს. ამ წიგნმა შექმნა მთელი ეპოხა, გამოიცა მოკლე დროში 18 ჯერ, გადაითარგმნა თითქმის ყველა კულტურულ ენაზე და დღესაც სამოენებით იკითხება. ამ წიგნის სახელია „Kraft und Stoff“ — „ძალა და ნივთიერება“. ამ წიგნის მთავარი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ კაცის გონებას უცებ ათავისუფლებს ცრუმორწმუნოებისაგან, შეჰყავს ეჭვის მორევში და აღუძრავს სურვილს ბუნების მეტყველების შესწავლისას და მსოფლიო წყობილების გაგებისას. აი, რატომ ასე გატაცებით იკითხებოდა ის ახალგაზდობისაგან! აი, რით მოხიბლა მან რამდენიმე თაობა!

ნიდერლანდია. ქ. ჰააგაში ექვს ამ თვეს შეიყარა ყველა სახელმწიფოთა დელეგატების კონფერენცია, ერთაშორის მშვიდობიან განწყობილებიან შესახებ მოსალაპარაკებლათ. ეს კონფერენცია მოწვეულ იქმნა რუსეთის მთავრობის ცირკულიარით, რომლითაც 12 აგვისტოს, გასული წლისას, მან მიმართა უცხოეთის მთავრობებს. საგანი კონფერენციისა აღნიშნულია გარეშე საქმეთა მინისტრის მურავიოვის მეორე ცირკულიარში, რომელიც მან 30 დეკემბერს გამოსცა. ის შეიცავს ორ მხარეს: შეიარაღების დღევანდელ დონეზე გაჩერებას და ერთაშორის მედიატორული სამსჯავროს დაარსებას. ევროპის დიდი სახელმწიფოანი და აგრეთვე ამერიკა, როგორც ჩანს წინააღმდეგი არიან პირველი წინადადების. გერმანიის მთავრობამ თავის დელეგატათ ისეთი პირა დანიშნა, რომელიც შეიარაღების და ომ ანობის აშკარა მამხარეა. ხოლო ამერიკის დელეგატებმა განაცხადეს, რომ ამერიკა ახლა იწყებს თავის ზღერს ძალის გამრავლებას და არას შემთხვევაში უკან არ დადგებაო აგრეთვე, ინგლისი, იაპონია, გერმანია და სხ. სამხედრო გემებს იპრავლებენ. სამაგიეროთ, ისინი მედიატორულ

რულ სამართალს რჩებენ, დეე, სამხედრო ძალებს როგორც გვინდა ისე მოვაწყობთ, მხოლოთ თუ რაიმე უთანხმოება მოგვინდა, მედიატორებმა გასაჯონო. მედიატორულ სამსჯავროში შევძლებათ საჩივარის შეტანა წერილ ერებსაც. კონფერენციის სხდომები იქნება საიდუმლო, ხოლო განაჩენებს გამოაქვეყნებენ გაზეთების საშუალებით.



ოცნება.

ნათობა ამასუქა,
 მკვინთ მოჭყანტა სსიკუბი,
 სთიბსუ ცვაჩი აბჭყეინდა,
 ვით მარგალიტის ქიკუბი;
 გამიიღვიძა ბუნებამ,
 ვარდმა გოგონი გაშალა, —
 მიუალეკსა ტუკრფას
 სიომ, გუფს სეკვას წაშალა!
 აუღექ, ბადისკენ წაგედი,
 რომ ოდნავ მეგრძნო სიამე,
 რომ დავმტკბავრეყავ ამ დილით,
 ვარდი მეკრძოფა, ია მე.
 და უცხათ სატრფოს შეგსედე, —
 ეკალი შემეკეკეა!
 ცდილობს და მაინც ჯერ თუკმე
 თავი ვერ დაუღწევა!..
 გულამოსკენილათ შექმასა:
 „დავ გიუკრავრ განაო?!.
 ამიერდინ კრფულიყოს
 ტრფვალა მავისთანაო!..
 და, თუ გასსოკვარ, ეკალი
 გაჭკაფე, გამიგანეო
 და, შენ რომ ბადში მიდისარ,
 მეც იქით წამიუგანეო!“
 თვალეში ცრქელი მამადეა,
 გულმა თანტქაფი დამიწეო..
 მიუკარდი, ტუკრფამ სელეუბი
 მე კალთამა წამიწეო!
 მნათობა სსიკუი შეკვტეოცნა,
 გუფს მოცქესა, ტუკრფასი,
 აღკვიფრთოგანა იმედი



კეთილი მომკვდისა.

წმელს შემეუფრეთ სიცოცხლე

ოცნებათ გადაგაქცევთ

და ჯგალში მსხდომთ ერთსელაჲ

თავი ან დაგვიწყვილა!..

თვალწინ გკისტვის მუხაბდი,

მისკენ ჭჭრის ჩვენი გონება,

იქ ვეძებთ სულის სიმშვიდეს,

სსკა ანდა გვინდა ქონება.

—

გაწყრა ზეგესი, იქუხა,

დასტეჲა, დაიკრგვინათ,

თავში დაგვძახს ოჩიკეს

„თქვენ მანდ ანა გაქვთ ბინა!“

იელვა, მესი გაკრდა,

შეგვრით, შეგვინდით მეტათ:

გაქმეო ალი ცეცხლისა

ჩვენ შემოგვადგა სვეტათ!

შუა მოგვიწყვდიო... ეგალი

საშინლათ იბუგებოდა

და შიშისაგან ოჩიკეს

გონება გვეგარგებოდა...

მაგრამ, ოჲ, საკვირველებო!

ზე ამოგვადით უნებლათ,

ვით ურმანი ბაბილონისა, —

ცეცხლისგან სკლის უსდებლათ!

ოჩნივ გამოკვლთ იქიდან,

ვით გადაძინანი რკალი;

ცეცხლმა ან დაგვწვა, რადგან ის

ციური ნაშეწყვლია...

მისთვის ვიტანჯეთ, რომ ნანი

სრულებით დადაგულიყო

და სიუკარული ჩვენ შორის

მით უფრო ადგზნებულაყო!

გამოცდილ-გამობრძმედილნი

გამოკვლთ ჭიჩით ამდენით

და თითქო ქვეყნისა და


სკელასდაჲ დავიბადეთ.


დ. თ. მ. მ. მ. მ.

ზემო სვანეთის ვითარება.

1856 წელს იმ ისტორიულმა ქარტახილმა, რომელმაც ამ საუკუნის დასაწყისს საქართველო გამოასალმა დამოუკიდებელ არსებობას, სძლია ყოველგვარი ბუნებრივი დაბრკოლებანი, მოაღწია სვანეთამდისაც და მისი საუკუნეობით საღათას ძილით მოცული ცხოვრება გამოაღვიძა, შეანძრია და ერთ დროს კიდევაც ააბობოქრა. თავისებურ თავისუფლებაში გალოლითაგებულ სვანეთს არაფრათ ესამონა ეს ახალი სტუმარი, რომელიც უქადოდა მას დამოუკიდებლობის, ძველი ურთიერთობის და განწყობილების წართმევას და ახალის დამყარებას; მაგრამ რომ საფუძველიანი და შედევიანი წინააღმდეგობა გაეწია ამ მიმდინარეობისათვის ავისათვის პაწაწკინტელა სვანეთს ძალა არ მოეპოვებოდა და ეს სრულიად დამორჩილდა. სვანეთის დამოუკიდებლობამ განუტევა სული, სვანეთში დამყარდა რუსეთის მართველობა. მაგრამ ეს იყო და ეს, ამით გათავდა თითქმის ყველაფერი. უცებ აბობოქრებული სვანეთის ცხოვრება ისევ ძველ სამოსელში გაეხვია, ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა და თავისებურათ დაიძინა. და აი, აგერ 45 წლის განმავლობაში სვანეთის ცხოვრების ბუნებრივ მიმდინარეობას თითქმის არავითარი კულტურული ცვლილება არ დატყობია. ის ცოცხლობს, მაგრამ ცოცხლობს კიდევ ჩვენებურათ, ძველებურათ და თანამედროვე ცხოვრების გზაზე გამოსვლის ნიშანწყალი ძრიელ მკრთალათ ეტყობა. განუფითარებელი ეკონომიური ურთიერთობა, პრიმიტიული სოციალური სფერა — აი ნიშნობ ღივი თვისებანი სვანეთის საზოგადოებრივი ცხოვრებისა. მაგრამ აქამდის შეუნძრეველი და ცხოვრების ახალი ვითარებისაგან ხელუხლებელი სვანეთი ამ უკანასკნელ წლებში თანდათან გრძობს რალაც ახალი ძალის მოახლოებას, რომელიც მას პატრიარქალურ კარჩაკეტილობას ბოლოს უღებს, ძველ საძირკველზე აშენებულ წყობილებას ძრს უთხრის ლ ბნელ ბურჯით მოცულ ცხოვრებას სინათლის შუქს ჰგენს. ყველაზე წინ ასეთი ძალა ცხოვრების ეკონომიურ დუღილში ჩნდება; აგრე ყოფილა ყველგან ლ ამ უღმობელ კანონს რასაკვირველია ვერ ასცილდებოდა სვანეთის ცხოვრებაც. მაშ გადაეხედოთ სვანეთის ეკონომიურ მდგომარეობას.

ბუნების სამკაცრე და გეოგრაფიულ მდებარეობას გაუჩეფებია სვანეთში მხოლოდ ერთი დარგი წარმოებისა — ხენა თესვა, რომელიც შეადგენს უმთავრეს წყაროს ცხოვრებას. მისდევენ სვანები საქონელის მოშენებას მაგრამ იმდენათ-რამდენათაც ამას მოითხოვს მიწს მუშაობა და საზოგადოთ ოჯახური მოთხოვნილება და საქირეობა. მაშ ხალხის ეკონო-





მაკმადიანების დღესასწაული „ბაირამი“ ეგვიპტის ქალაქ ქაირში.



მიუღი კეთილდღეობა აქ მთლათ დამოკიდებული უნდა იყოს სახნავე-სათესი მიწისაგან, მისი სიერცისა და ნაყოფიერებისაგან. მაგრამ ეს ერთათ ერთი საშუალება აქაური გლეხის წარმოებისა — აქ ძლიერ მცირეა. საშუალო რიცხვით რომ ვიანგარიშოთ თვითოეულ კომლ გლეხს შენებდება ოთხი ქცევა მიწა, ხოლო ისეთი გლეხიც ბევრია, რომლის სახნავე სათესი მიწა ორ ქცევასაც არ აღემატება. სახნავე მიწის გაფართოვება ტუის გაკაფით, მაგ. როგორც გურიაში და სხვა სოფლებში ხდება აქ შეუძლებელია. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ მიწა ამ ბოლო წლებში საგრძნობლათ გამოიფიტა და ნაყოფიერობა დაჰკარგა, ასე რომ უსასუქოთ ქცევაზე ოთხი ფუთი პურაც კი არ მოვა, რაც უნდა კარგი მოსავლიანი წელიწადი იყოს. ამიუთხ იშვიათია სვანეთში ისეთი გლეხი, რომ უყიდლათ სარჩო გაჰყვეს წლის ბოლომდის და როგორც კი გაიხსნება გზა — ლეჩხუმიდან ცხენებით და ზურგიითაც გადმოაქვთ სიმინდი. თვით სვანეთში კი კვიდოლა ¹⁾ პური და ს-მინდიც სამ მანეთათ ფასობს. ამ გვართ, სვანეთში გლეხი მიწის მუშაობით არა თუ სხვა და სხვა საზოგადო და კერძო მოთხოვნილებას ვერ იკმაყოფილებს, არამეთ პური — ეს ყველაზე უსაჭიროესი საკანი არაებობისა — საყიდლათ უხდება. ყიდვა კი ფულის თხოვლობს. კიდევ კარგი, რომ ფულის საჭიროება სვანისათვის მარტო ამითი იყოს შემოზღუდული და სხვას ყველაფერს თავის სახლში ამზადებდენ. მაგრამ არა; ფულია საჭირო სახელმწიფო ბეგარისათვის, რომელიც დღეს თუმცა მცირეა, მაგრამ ყოველ დღე ნომატებას მოეღის; ფულია საჭირო სხვა და სხვა კერძო ოჯახურ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, რომელიც დღითი დღე იზრდება და ფართოვდება. ერთი სიტყვით ყველგან ფული და ფული, ხოლო წყარო მისი შეძენისა თვით სვანეთში არ არის. საიდან, რა წყაროდან უნდა გამოადინოს სვანმა ფული? როგორც ზევით შევნიშნეთ სვანი თავის ოჯახში ისეთ არაფერს არ აწარმოებებს, რომ თავისი ოჯახის მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ, გადამეტს ჰქიდდეს. რომ რაიმე მოიპოვებოდეს გასაყიდი სვანის ოჯახში — გაყიდვა შეუძლებელია, — რადგან სვანეთი მ. მოსვლის საშუალების უქონლობის გამო ბაზარზე მოწვეტილია. რომ ამ უკანასკნელი გარემოებით არ იკოს შეზღორკილი აქაური გლეხი კიდევ შესაძლებელი იქნებოდა, რომ მის ოჯახშიაც ადგილი მოეპოვებოდა რაიმე ბაზარზე გასატან ნაწარმოებს. მაგ. სვანს შეეძლო დღეში რამდენიმე ჩარეკი რძე გაეყიდა; რა-

დგან აქ ისეთი ოჯახი იშვიათია-რომ ოთხი თუ მეტი მეწველი ძროხა არ ჰყავდეს. მაგრამ სად და ვის უნდა მიჰყიდოს სვანმა რძე? ყველის წარმოება კი აქ საშუაბროთ არ იციან. ამ გვართ, სვანის გლეხი მოკლებულია ყოველ გვარ საშუალებას თავისივე სოფელში ამოქმედოს თავისი სამუშაო ძალა, სხვა-და-სხვა მოთხოვნილებას პასუხი გასცეს და თავისი ცხოვრები უკეთ მოაწყოს. ეს ასეა აგრეთ წოდებულ თავისუფალ სვანეთში, სადაც ბატონ ყმობის მძიმე უღელს ადგილი არ ჰქონია და სადაც მიწა თავისუფალია ყოველ გვარი ღალისაგან. მაგრამ არის მეორე ნაწილი ზემო სვანეთისა, აგრეთ წოდებული სადადიშქელიანო, სადაც 19 თებერვლის მანიფესტი ძალით ბატონ ყმობა თუმცა სახელით მოიხპო, მაგრამ ნამდვილათ კი დღესაც სრულ და თან გამწვავებულ მეფობაში არის, რის გამო ხალხის სიღატაკე და გაჭირვებული მდგომარეობა უმწვერვალეს წერტილამდის არის მიხწეული (ამის შესახებ დაწერილებით შემდეგ).

ასეთმა სასოწარკვეთილებამდის მისულმა ეკონომიურმა მდგომარეობამ სვანეთის კარ ჩაკეტილი ცხოვრება შეანძრია მამა პაპათაგან ნაანდერძევი სიყვარული მთებ-სადმი ძირიანთ შეარყია და ერთ დროს ბარში სიკოცხლის უარმყფელი, ხოლო მთაში სიკედლილის მოსურნე სვანი, ბარში გარეკა არსებობის საშუალების მოსაპოვებლათ და სიკოცხლის გასაგრძობათ. ამდენხანს თუ სვანი ისე მოკვდებოდა რომ ლეჩხუმსაც კი ვერ იხილავდა, დღეს მას დასავლეთ საქართველოს რომელ სოფელში ვერ შენებდებით თონით და ნიჩბით შეიარაღებულს და თვალგაფაცქვებით სამუშაოს მაძიებელს. დადგება თუ არა ოქტომბერი სვანეთში აღარაფერს რჩება, ვისაც კი მუშაობა შეუძლია მიესწრაფება სამეგრელოში, იმერეთ-გურიაში და სხვაგან ფულის მოსაკებათ. სამწუხაროთ სვანს ქალაქში ჯერ ფეხი არ შეუღვამს; ქალაქის კარი მისთვის კიდევ დახშულია. შორდება თავის სოფელს სვანი, მაგრამ ისევე სოფელში მიდის, სადაც მის სამუშაო ასპარეზათ გამხდარა მარტო მიწას თხრა, თხრილების კეთება. აქ ჰუანტაეს მთელ თავის მკლავის ძალას, შრომის ფასათ კი დღეში ორა შაურიც არ უჯდება. ექვსი თვის შემდეგ ის ბრუნდება ისევე თავის სახლში ერთი ან ორი თუმნით, რომელსაც ან მეფახზე წაიღებს ნასესხ ფულების სარგებელში (აქ პროცენტი თუმანზე ათი შაურია თვეში) ან რომელიმე ჩარჩი ვაჭარი, ჩარჩი ვაჭარებისათვის სვანეთი კარგი საწველი ფურჩი მთელ — სვანეთში ორ-სამ ჩარჩს ჩაუგდია ხელში ეკრობა; ამათ გადმოაქვთ საქონელი, დაატარებენ სოფელ სოფელ და მამასიხლათ ასალებენ, თვით

¹⁾ კვიდოლა აქაური მურის საწყავია და უდრის ფუთ ნასყავას.

სენი კი ჯერ ვაჭრობას ვერ ახერხებს, ამისი მიზეზი მისი სიბნელე და ველოურობაა. ამას დღეს სენიც გრძნობს; გრძნობს, რომ მარტო ნიჩბით და თონით შეიარაღებული სოფელ-სოფელ ხეტიალით ის ბევრს ვერას გააწყობს და თავის ცხოვრებას წინ ვერ წასწევს. დღეს სენიც რწმუნდება, რომ ქალაქში ფხვის შედგმა და სააღმშენებლო ასპარეზზე გასვლა განგებას არ აუკრძალავს მისთვის.

ასეთი შეგნება კი ჰბადებს ხალხში სკოლების დაარსების სურვილს და საზოგადოთ განათლებისადმი ლტოლვილებას. წინეთ თუ სენები მთავრობის წინადადებას სკოლის დაარსების შესახებ ყოველათ ყრუთ და გულგრილათ ეგებებოდნენ, დღეს თვით ეხვეწებიან მთავრობას სკოლის დაარსებას,—უცხადებენ სკოლას ზნეობრივ თანაგრძობას და შეძლების და გვართ ქონებრივი დახმარებისაგანაც უკან არ იხვეწენ.

ამ ჟამათ სენებში შეიღი სასოფლო სკოლა არსებობს. მათგან ორი სამინისტრო, ლ ხუთი კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობას აღმადგენელ საზოგადოებისაა. ქართული ენის და წერაკითხვის შესწავლაში სენას პირველათ ხელს უწყობს თვით სენური ენა, რომელიც ქართული ენის ერთი შტოა, დიალექტია და, როგორც ასეთს, დიდი კავშირი აქვს ქართულ ენასთან; მეორეა ის გარემოება, რომ სენებს მიმოსვლა და დამოკიდებულება აქვს უმეტესათ იმერეთთან, სადაც ქართული ენა მეფობს. ამიტომ სკოლაში შესწავლილი ქართული წერაკითხვა და ენა სენას აღარ ავიწყდება, პირ აქეთ ემატება სკოლაში შეძენილს ცხოვრებაში და ურთიერთობაში. ამ მხრით ქართული ენის და წერაკითხვის შესწავლა შეკავშირებულია სენისთვის ამის ეკონომიურ ინტერესთან,—ამას მოითხოვს მისი არსებობის პირობები. გარდა ამისა ქართული ენის შესწავლაში სენი დაინტერესებულია იურიდიულათ რადგან სენებში ყოველგვარი უფლების დამოკიდებულება წარმოებს ქართულ ენაზე, დაინტერესებულია რელიგიურათ, რადგან წირვა ღოცვა დასაბამიდან სრულდებოდა და სრულდება ქართულ ენაზე. ერთი სიტყვით ქართული ენის და წერაკითხვის შესწავლას ყოველმხრივ ინტერესი აქვს სენისათვის. სენებს საბედნიეროთ აქ თანდათან მრავლდებიან კავკასიაში მართლ-მად. ქრისტიანობის აღმადგენ საზოგადოების სკოლები, რომელებიც ცხოვრების მოთხოვნილებასთან და საქროებასთან მკაცრათ არიან შეკავშირებულნი და ხალხის თან გრძობაც ამ ტიპის სკოლებისადმი თანდათან იზრდება.

ამ სკოლებში ქართული ენის სწავლება სავალდებულოა, როგორც სამშობლო ენისა და რუსულ

ენასაც ჯეროვანი ადგილი უჭირავს, როგორც ხელმწიფო ენას. გასულ წელში ამ სკოლების ინსპექტორის, ბ. ე. მამინაიშვილის მეცადინეობით დაარსდა სენებში სამი სკოლა. ახლა სხვა სოფლებიც აცხადებენ სურვილს ასეთი სკოლის დაარსებისას და იმედია ბ. მამინაიშვილი იშუამდგომლებს ვის წინაშეც ჯერ არს და ერთ-ორ სკოლას კიდევ შესძენს სენებს. მაშინ ზემო სენების ყველა სოფელს თავისი სკოლა ექნება და წერაკითხვის გავრცელების საქმე აქაც სანატრელ ნიადაგზე დადგება.

ახლა უმთავრესი საჭირობოროტო კითხვა სენებისა არის—კითხვა გზის გაყვანის შესახებ. ამ კითხვის ასე თუ ისე გადაწყვეტაზე ერთიანთ დამოკიდებულია სენების მომავალი; ყველა პირობებშია რომ ხელი შეუწყოს სენების ცხოვრების წინსვლას და განვითარებას, თუ ეს უკანასკნელი გარემოება (უგზობა) წინ გადაელობა, ყოველივე ამაოიქნება. ხოლო თუ სენებმა ამ დაბრკოლებიდან, ამ შემბოროკავი გარემოებიდან თავი იხსნა, მაშინ მისი ცხოვრების ჩარხი წალმა დატრიალდება. რამდენიც დრო გადის, იმდენათ უფრო საგრძნობელი ხდება სენებისთვის უგზობა და იმდენათ იზრდება ხალხში სურვილი ამ დაბრკოლებიდან განთავისუფლებისა. სენებს ესაჭიროება საცხენო გზა, რომლის შემწეობით შეეძლება მას მუდმივი მსვლელობა დასაყვით საქართველოში, ასეთი გზის გაყვანა შეიძლება მდ. ენგურის ნაპირას, ზუგდიდისაკენ. მაგრამ ტექნიკური პირობები გზა ტყეცილის გაყვანისთვის მოითხოვს კარგ ძალ ფულს და ეს უკანასკნელი კი სენებში არ არის. სენების სიმდიდრეს მარტო ტყველა სამუშაო ძალა შეადგენს და ამ სიმდიდრით სენები მზათ არის პირველ დაძახებაზე გავიდეს გზის სამუშაოთ. ახლა სენების იმედი მთავრობაზე არის დამყარებული, მისგან მოეღოს შეეღას. მთავრობაც, რასაკვირველია, არ წააგებს, თუ გზას გაიყვანს, რადგან მაშინ სენის შემოსავალი იმატებს და მეტა ბეგარის გადახდაც შეეძლება.

—მენ—

საუბარი მკითხველთან.

I.
რა არის, მკითხველო, რომ ჩვენში ასე იშვიათია მეცნიერული შინაარსის წიგნი? მაშინ როდესაც უცხოეთში მკითხველი თავს ვეღარ არაჟმევს წიგნების სიმრავლეს, საჩვენათ აქს მეცნიერების ყოველ დარგში, შენ, ჩემო ქართველო მკითხველო, დარეგ

ნის თანრით საქმბრათ გაგზდომია, სარჩევს ვინლა დანედებს, განურჩევლათაც საკითხავი არა გაქეს. განა ჩვენი ერი საზოგადოებას არ წარმოადგენს, რომ სოციალოგიაში მოიკდოს ტყხი? საზოგადოებრივი კითხვები რომ არ იყოს, მაშ რას ნიშნავს ჩვენი საზოგადოების ამდენი ყაყანი „საზოგადო საქმეებზე“? მაშ აღარც საზოგადო მოღვაწეები გვეყოლია? დიანაც, ჩვენც ეცხოვრობთ საზოგადოებრივი ცხოვრებით, ჩვენც გვაქვს საზოგადო საქმეები, ჩვენც გვეყვანან საზოგადო მოღვაწეები, მხოლოთ ჩვენი ცხოვრება სხვასთან შედარებით ახალ-გაზდაა, ამიტომ ჩვენი საზოგადო საქმეები წერილმანებია, უფრო მეტათ პირადობით გამოწვეული „აურ-ზაური“. ჩვენი საზოგადო მოღვაწეები პატარა ცოდნით არიან აღჭურვილნი, მაგრამ ნუ გეშინია, მკითხველო, ყველაფერა იზრდება და ვითარდება, ჩვენც ვიზრდებით და ვვითარდებით. დღეს ის აღარ ვართ რაც გუშინ ვიყავით, დღევანდელი დღე სულ სხვა მომავალს ამზადებს და ჩვენი ფიქრები და სურვილები ფერს იცვლის, სხვანაირდება.

ჩვენი იდეალი მომავალში უნდა იყოს, აწმყო იმდენათ საინტერესოა, რამდენათ ის მყობადის საძირკველია. მუდმივი ცვლა არის ბუნებრივი კანონი, რომლის ძალას ვერ უძლებს ვერავითარი ძველი წეს-წყობილების ტრფიალი და დ.ჩემება, ყოველი თვალ-საჩინო სოციალური ცვლილება თავის ელფერს დებს გონებრივ მოძრაობას, რისგამო ლიტერატურაც ფერს იცვლის, ახალ შიმართულებას ადგება. რა თქმა უნდა, წარსული წესწყობილებს სოციალური ფსიხოლოგია უფრო დღეგრძელია თავის მშობელზე და ამიტომ მწერლობაც რამდენიმე ხანი ამ ფსიხოლოგიის გავლენის ქვეშ იმყოფება, სანამ ახალი საზოგადოებრივი განწყობილება სრულიად თვალსაჩინო ახალ სოციალურ სფერას არ შექმნის. ამან სამუდამოთ უნდა აღგაოს წარსულის ნაშთი თანამედროვე ცხოვრებადან და მით საკუთარი სოციალური ფსიხოლოგია გაამეფოს. ამნარ ისტორიულ მომენტს წარმოადგენს დღეს ჩვენი ცხოვრება, სადაც პატრიარქალური წეს წყობილებით შექმნილი იდეოლოგიური წარმოდგენება ბეჭუტავენ აქა-იქა და ამ მბეჭუტავეი ქრაქის მტარებელნი არიან ჩვენი „ნაფაცი“ პუბლიცისტებიც. მეორე მხრით ნატურალური მეურნეობის ნანგრევებზე იზრდება მისივე გულიდან აღმოცენებული მრეწველობა და მასთან ერთათ ფესვს იდგამს ახალი შეხედულება ცხოვრებაზე, რომელიც სრულიად განსხვავდება პირველის აზრის და სურვილებსკან. რა რამ ჩვენი ეკონომიური ცხოვრება გაჩქარებით წაივდა წინ და საწარმოვეა ძალის აღორძინებით სხვა

ქვეყნების ბაზარს დაეუხანლოვეთ ჩვენი წარმოება, ეკონომიური კითხვები სტინქსივით წინ დაგვხედენ და უცხოეთის მწერლობაში გამწევებულმა პოლიტიკამ ჩვენი პერიოდული გამოცემების ფურცლებზედაც იჩინა თავი. მწერლობა სარკვეა ცხოვრების განვითარებული, რთული საზოგადოებრივი განწყობილება უფრო განვითარებულ რთულ ცოდნას და შეგნებას მოითხოვს, და თვისი ხანგრძლივი ვითარების განმავლობაში კიდევ შექმნის, აღზრდის გონებრივათ სალ, განვითარებულ იდეოლოგით. ჩვენისთანა განუვითარებელ ცხოვრებას, რომელიც ცოტა ხანია რაც ახალ გზას დაადგა, დიდა ცოდნით აღჭურვილნი, საზოგადო ცხოვრების მკვლევარნი არ მოედებნება, მხოლოთ იგი თავის ვითარების დროს ავითარებს, ზრდის იდეოლოგებსაც და, თუ მოვიგონებთ, რომ ჩამორჩენილ მხარეს შეუძლია ისარგებლოს დაწინაურებული ერების მაკალითით, ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვთქვათ ჩვენც ახლო მომავალში გვეყოლება საზოგადო ცხოვრების რიგიანი ცოდნით შეიარაღებული მკვლევართა მთელი დასი. ყველგან და ყოველთვის ასე იყო. მეცნიერება ცხოვრებასთან ერთათ იზრდებოდა. მეცნიერებას თვით ცხოვრება ქმნიდა და არა მეცნიერება ცხოვრებას. თავისი ხანგრძლივი განვითარების დროს გონებამ მრავალი მიმართულება და თეორიები შექმნა, რომელნიც ერთ ჯაჭვს შეადგენენ კაცობრიობის გონების განვითარებისას. მათ შორის განუწყვეტელი კავშირია, ისე როგორც თვით ისტორიულ ცხოვრების სხვა და სხვა ებოქება, რომელნიც სხვა და სხვა თეორიების მშობელია, ერთმანეთზე გადაბმულნი არიან და ერთ მთელ გრძელ ისტორიას წარმოადგენენ. წარსული აწმყოს მშობელი იყო, მხოლოთ აწმყოში უთუოთ მომავალია ჩასახული. აი ამიტომ შეუძლია ადამიანს წარსულის და აწმყოს ცოდნა მომავლას მოსაგვარებლათ გამოაყენოს და სწორეთ ამ გზით შექნა ადამიანმა მეცნიერება. ის წარსულის გამოცდილებით სარგებლობდა, ამ გამოცდილებას აუმჯობესებდა არსებობისათვის ბრძოლის დროს და ამნარათ ადამიანი, თან და თან მეტი ცოდნით აღჭურვილი, ცხოვრებას იადვილებდა. მეცნიერებას ჰქმნიდა იმიტომ, რომ არსებობის პირობები გაეადვილებინა და კიდევ მიადწია ამას დღევანდელ ტენნიკის უმაღლესი განვითარებით. ადამიანი ბუნების მონობიდან განთავისუფლდა და თვით ამ ბუნების ბატონი შეიქნა. მაგრამ ამ განვითარებას დროს, როგორც თვით ადამიანის ცხოვრება, მეცნიერებამაც მრავალი მიწვეულ-მოხვეული გზა განვილო; მით უმეტეს იმისთანა მეცნიერებამ, როგორიც არის საზოგადო მეცნიერება. ამის მიხეზ კაცადია, თუ მოვიხსენებთ, რომ საზოგადო ცხოვრებას კითხვებ მეტათ

3

I

რთული და მწვევეა; საზოგადოების სხვა და სხვა ნაწილს ის სხვა რ სხვანაირათ ეინტერესება; ამიტომ უმეტესათ სურვილებით და იდეალებით გატაცებულნი მკვლევარნი საზოგადო მეცნიერებას სუბიექტიურ ხასიათს აძლევენ და მით ნამდვილ მეცნიერულ ნიშანს უკარგავენ; ამ მრუდე გზას ღღემდე ვერ აცილებიან ბევრი მწერალნი. მაგრამ ამასთანავე ერთათ, თუმცა სურვილებს და იდეალებს ვერ განვდევნით საზოგადო მეცნიერებიდან, რადგან იგი სარკვე საზოგადოებრივი ჯგუფების, კლასიური ანტაგონიზმისა, იგი მაინც აცილდა ამ საშიშ გზას და შეიგნო, როგორც ერთი მეცნიერი ამბობს, რომ „მეცნიერების საქმე არ არის აქოს ანუ აძაგოს სოციალური ფაქტები, ის მომავალი წყობილობის გეგმას კი არ უნდა იკონებდის, არამედ უნდა ხსნიდეს ნამდვილ აუცილებელ დამოკიდებულებას აწმყოსა და მომავალს შორის. აწმყოში ყოველთვის ჩასახულია მომავალი და მეცნიერებამ უნდა დაგვანახოს, თუ როგორ შობს ესა და ეს საზოგადოებრივი წეს-წყობილება ახალს“.

ამისთვის საკმაო არ არის მარტო ისტორიული ფაქტების ცოდნა, მათი მწყობრათ და ლამაზათ მზობა. საჭიროა მეცნიერული მეთოდი, რომელიც ამ ფაქტებს რაიმე გარკვეულ ხასიათს მისცემს, მოვლენათა კავშირს იპოვის. „ისტორიული ცოდნა“ ამბობს მენგერი, „მხოლოდ მასალაა, რომლის საშუალებით ღონისძიება გვეძლევა მოვლენათა კანონები დავადგინოთ“. აი სწორეთ ამ კანონების დასადგენათ საჭიროა კვლევის მეთოდი, რომელმაც უნდა ჩამოასხას, ააგოს მრავალგვარი ისტორიული ფაქტები ერთ მძაფრე და საზოგადოებრივი განვითარების კანონი გვამცნოს. მრავალი შრომისა და ცდომის შემდეგ ეს საკითხი, ჩვენი აზრით, გადაწყვიტა პრინციპიალურათ ისტორიის მატერიალისტურმა შეგნებამ, რომელმაც მრავალი ფაქტორები ისტორიული პროცესისა უარჰყო და აღიარა ერთი ფაქტორი — საზოგადოების ეკონომიური შენობა. ეს სრულიად არ ნიშნავს, როგორც ზოგიერთ ჩვენ უეც პუბლიცისტებს ჰგონიათ, რომ ისტორიული ცხოვრების ყველა რთული მოვლენანი მხოლოდ ეკონომიური ფაქტორის ზეგავლენით უნდა აიხსნას. ისტორიად, ამბობს ლაბრიოლა, სრულიადაც არ წარმოადგენს ეკონომიური განწყობილების შიშველ ჩონჩხს; იგი შეიცავს აგრეთვე იმას, რაც ამ ჩონჩხს გარს ახვევია“. ეს თეორია ჯერ დაუმთავრებელია, იგი კიდევ ბევრ მეცნიერულ კვლევა-დასაბუთებას მოითხოვს; ამ აზრისაა გერმანელი მეცნიერი ადოლფ შტამლერი, რომელმაც ამ კითხვის შესახებ უკანასკნელ ხანებში წიგნი გამოისცა (хозяйство и право). ამასვე იმეორებენ ბევრი

მარქსისტებიც, რომელთათვის მეცნიერების წინსვლა და განვითარება უფრო საინტერესოა, ვიდრე ვიწრო პარტიული ინტერესები. მაგრამ ყველა მათგანი აღიარებს და ეს უტყველო ფაქტია, რომ კვლევის მეთოდი ნაპოვნი, სოციალური წყობილების მაჯისცემა აღნიშნულია და მეცნიერებას მხოლოდ დარჩენია ისტორიული წყაროების ახალი შემუშავება ე. ი. მისი საქმეა აწ ამ მეთოდის საშუალებით ისტორიულ ფაქტებს ის ქერქი მოაძროს, რომელიც შემოხვევია გარს თავისი წინსვლის, განვითარების დროს. რომის პროფესორის ანტონიო ლაბრიოლას წიგნი შესახებ ისტორიის მატერიალისტური შეგნებისა ახალ თეორიას მეთ ნათელს ჰუენს და, შესაძლებელია, ბევრს გაუქარგოს ის ეჭვები, რომელნიც ამხინჯებენ და სრულიად უკარგვენ მეცნიერულ ხასიათს მეცნიერულ თეორიას. ლაბრიოლას წიგნი ამ ხანათ რუსულათ გადმოთარგმნეს და მით ქართველ მკითხველს ხელმისაწვდომათ დაუახლოვდა. მხოლოდ ამ წიგნის გონიერი შინაარსი რომ კიდევ უფრო დაეუახლოვოთ ქართველ საზოგადოებას, ამისათვის ჩვენ ვესურს ზოგიერთი ადგილები მოკლეთ გადმოვიღოთ და „კვალის“ მკითხველს გაუზიაროთ. ეს წიგნი სხვა ამგვარ წიგნებთან ერთათ, ბევრათ გაუადვილებს ქართველ მკითხველს საზოგადო ცხოვრების მოვლენას მეცნიერული თვლით შეხედოს, ღრმათ ჩაუკვირდეს და მით ღონისძიება მიეცეს ზოგიერთ ტრადიციულ შეხედულებას თავი დაახწიოს, საგანს თავისი ნამდვილი სახელი უპოვნოს და ჩვენი „ნაფიცი“ პუბლიცისტების გონებრე მონობიდან განთავისუფლდეს. ეს კი აუცილებელ მოსამზადებელ „განსაწმენდელს“ შეადგენს იმისთვის, ვისაც სურს ნამდვილ მეცნიერებას ცოტათი მაინც დაუახლოვდეს, გარემო სოციალური პირობები გამოირკვიოს და ბნელი გაინათოს. აი ამიტომ გთხოვთ, მკითხველო, ცოტა ხანს ა. ლაბრიოლას დაუგდოთ ყური. დამერწმუნეთ, ეს კაცი იმდენათ გონიერი მოაზრეა, რომ მისი მოსმენა ფუჭათ დროს დაკარგვა არ იქნება და ჩვენც მასალას მოგვცემს ღდეს სასაუბროთ.

ა. წულუკიძე

(შემდეგი იქნება).

ქალთა კითხვა.

ქალების მდგომარეობა საფრანგეთში.

როდესაც ერთი კატეგორია, ერთი კლასი, ერთი წოდება დამოკიდებულების და მონობის (oppression) ქვეშ იმყოფება, ეს დამოკიდებულება პოულობს თავ



ვის არსებობას იმ კანონებში, რომლებიც ხმარებაშია¹⁾. და მართლა რაა რომელიმე კანონი, თუ არა გამოხატულება უკვე არსებული ეკონომიური ურთიერთობისა, ცხოვრებიდან ამოდებული და ქალღმრთელად აღიქმული. კანონმდებლობა თან მისდევს ცხოვრებას, და როდესაც რომელიმე ერთგვარი და მოკიდებულია ფებს იდგამს ამა თუ იმ საზოგადოებაში, ამა თუ იმ საწარმოო ძალის განვითარების მიხედვით, ის საზოგადო ხასიათს იღებს და ყველასათვის საეკონომიური კანონით ხდება. ასე რომ არც ერთ კანონმდებელს, თუნდა ის ჩინეთის ბოგდინხანის უფლებებითაც იქნეს აღჭურვილი, არ ძალუძს ისეთი რამ დააკანონოს, რასაც თვით ცხოვრებაში ნიადაგიც მაშასადამე „raison d'être“-ი არა აქვს; ხოლო ხშირათ ხდება, რომ ცხოვრება კარგ მანძილზე ტოვებს კანონმდებლობას; ეს მაშინ, როდესაც კანონმდებელი თვალს არიდებს ამა თუ იმ კანონის შემოღებას; არ ესმის, ან, უკეთ, არ უნდა გაიგოს, თუ ცხოვრების უმთავრესი მიმდინარეობა საითკენაა მიმართული, რადგან ახალი კანონების შემოღება მმართველი კლასისათვის ბევრ შემთხვევაში მის უფლებების შემოკლებას ნიშნავს. ამ შემთხვევაში ხდება შეტაკება ძველსა და ახალს შუა და ცხოვრება მაინც თავისას შერება, მიუხედავად იმისა, რომ მმართველობა მის შემოღებას ძალით წინ ეღობებოდა. და რადგან ცხოვრება მუდმივ განვითარების პრინციპზეა აგებული, ამიტომ მუდამ ცვლაშია თვით კანონებიც. წავიძღვანოთ ეს თვალთახედვის ისარი და შევხედოთ საზოგადოთ ქალთა მდგომარეობას.

ვიცავ ცოტათი მაინც თვალ-ყური უღევნებია თანამედროვე სოციალოგიისათვის (საზოგადოებრივი მეცნიერებისათვის), იმან იცის რომ ქალების მდგომარეობა ისეთი არ იყო წინეთ, როგორც დღეს. ის იქ ამოიკითხავს არა ერთს და ორს ფურცლებს იმის შესახებ, თუ რამდენი წეალება, აბუჩათ აგდება და ზიზლი დაუმასხურებია კაცობრიობის ერთ ნაწილს (ქალებს) მეორე ნაწილისაგან (კაცებისაგან). რომ შორს არ წაეიდეთ ავილოთ თვით დაბადება, გადაურცლეთ მოციქულების და წმინდა მამების ნაწერები რომელი გვერდიც გსურთ, თქვენ იქ ამოიკითხათ, რომ ქალი კაცის მაცდური და მყენე არის; საჭიროა, რომ კაცი მოშორდეს ამ „მაცდურ“ ადამიანს, ხოლო თუ ამას ვერ შეძლებს, იმ შემთხვევაში ახსენებს ქალს მის ევისაგან ჩამომავლობას და განუსაზღვრელ მორჩილებას ქრმისადმი უქადაგებს.

¹⁾ Les femmes dans le passé, le present et l'avenir ფ. 194—ბებელი.

და მართლაც ისეთ საზოგადოებაში, სადაც ცხოვრება ისეა მომართული, რომ ქალის ხელიდან ბერი არა გამოდის რა, და კაცი იძულებულია თავისი შრომით ის არჩინოს, რა ვასაკვირველია, რომ ქალის მდგომარეობა დაბნელებული იქნეს და თავით ის ზიზლის და წყევა — კრულების საგანი შეიქნეს. და, აი, რატომ: კაცი კარგათ ხედავს, რომ უქალოთ მას ცხოვრება არ შეუძლია, რომ მისი ბუნება ქალთან კავშირს ითხოვს და მაშასადამე ეს მისთვის გადაუვალელი კანონია. ხოლო იმავე დროს ის ხედავს, რომ ქალი მას დიდ შეღავათს ვერ აძლევს და ცხოვრების უმძიმესი უღელი მას აწევს კისერზე. ერთა მხრით, ბუნების გადაუვალელი კანონი ქალთან კავშირის საჭიროების შესახებ, ხოლო მეორე მხრით — მისი საეკონომიური დებულო რჩენა.

ასეთ საზოგადოებაში ქალი „დაწყვეტილი“ ადამიანის სახელს იმსახურებს და ყოველივე ბოროტის სათავეთ ხდება, როგორც ამას ძველი აღთქმა გვარწმუნებს. ის ადამიანი, რომელიც ცხოვრებამ არსებობის ისეთ პირობებში ჩააყენა, რომ თავის რჩენისათვის სხვას უნდა შეცქეროდეს თვალზეში, იძულებულია აიტანოს ის დამცირებაც, რომელიც სხვის ხელში შეჩერებას მოსდევს. ეს მოვლენა წმინდათ ლოგიკურია და აქ ტირილს ადგილი არ უნდა ექნეს.

ხოლო წინათ თუ ცხოვრება ნელი ნაბიჯით მიდიოდა განვითარების გზაზე და ერთ წერტილზე გაქვავებული ეჩვენებოდა კაცს, დღეს ის დიდი სისწრაფით მიეშურება ამ გზაზე და ცხოვრებაც ძირეულათ იცვლება. წინეთ თუ ფეოდალური წეს წყობილება მეფობდა, მიწათ მფლობელობაზე აგებული და კარ-ჩაკეტილობით გარემოცული, დღეს მის ნანგრევებზე კაპიტალისტური წარმოება ბუკს და ნალარას უკრავს. წინეთ თუ ქალი კერას უჯდა და მითაც იოლათ მიდიოდა, დღეს მას კერასთან ჯდომით სული ამოხდება; დღეს ის იძულებულია კაცებთან ერთათ ხელი გაანძროს, ქარხნებში და ფაბრიკებში თავი შერგას, რომ ორიოდ გროში იშოვოს და „გაძალღებულათ თავი ირჩინოს“. ერთი სიტყვით დღეს ქალი იძულებულია იმ შავ მუშაობას ხელი მოჰკიდოს, რომლისათვისაც კაცს დიდი ხანია ხელი ჰქონდა მოკიდებული. და განა მართა ქალი ჩაადლო ვეროპის თანამედროვე ცხოვრებამ ასეთ მდგომარეობაში? არა, მან ბავშვებიც ჩაითრია შივ და თავისი მძიმე უღელი მათაც უღროვოთ კისერზე დაადა: „თუ არ ვასწიე, შიმშილი მოგელისო“, დამუქრებით ეუბნება იმათ, ვისაც ჯერ თამაშობის და ცელქობის მეტი არა მოეთხოვებდა რა. ამ ცხოვრების ნიშნობლივი თვისებაც ის არის, რომ მან ყველას, დიდს და პატარას, ქალს და კაცს ქარხნებში ამოაყოფია

თავი და შრომის უფელში შეება, გარდა თვით ბურჟუაზია, რასაკვირველია, რომელთაც ქეიფობა და ცხოვრებით დატკობა არგუნა წილათ. და თუ დღევანდელ ცხოვრებას ქალი სამუშაოთ გამოჰყავს და მას (ქალს) თავისი წვლილი შეაქვს ოჯახში (რომელიც უკვე ქრება), ამით ის არღვევს ძველ ცხოვრებაზე აგებულ ურთიერთობას ქალთა და კაცთა შორის. რაკი ცხოვრებამ აიძულა ქალი თავისი შრომით თავი იჩინოს, მით მან მამაკაცს ხელიდან გამოტაცა მისი ბატონობა და პატრონობა და ქალს დაუბრუნა. აი, ამ გზაზე ადგია დღეს ევროპის ცხოვრება და ამით აიხსნება, რომ ქალები თანამედროვე ცხოვრებაში მეტ გავლენას პოულობენ და უფლებას იძენენ.

ენახოთ ახლა თუ რამდენათ უდგას გვერდში კანონმდებლობა ქალების შესახებ თვით ცხოვრებას.

მიუხედავთ იმისა, რომ საფრანგეთს მალლა უკავია დროშა წინ მსვლელობისა, მიუხედავთ იმისა, რომ მან პირველათ ამართა დროშა თავისუფლებისა 1789 წ. დიდი რევოლიუციით მთელი ევროპის და მასთან კაცობრიობის წინაშე, მიუხედავთ ამ დიდი ღვაწლისა, რომელიც მას მიუძღვის ისტორიაში და რომლითაც ის ამჟამად, საფრანგეთი ჯერ კიდევ შორს არის, და ასე გაშინჯეთ დასავლეთი ევროპის სახელმწიფოებთან შედარებით უკან ჩამორჩენილია ქალთა განთავისუფლებაში მამაკაცთა ბატონობისაგან ანუ მოკლეთ—ქალთა ემანსიპაციაში.

თუ რაში გამოიხატება ეს უკან ჩამორჩენა, ეცდებით მოკლეთ გამოვარკვიოთ შემდეგი სტრიქონებით, და თან, რამდენათაც ხელი მიკეიწოდება—აეხსნათ, თუ რა მიზეზია, რომ საფრანგეთი ქალთა ემანსიპაციის საქმეში უკან რჩება ევროპის სხვა ხალხთან შედარებით.

სანამდის ქალი ქალიშვილობაშია, სანამდის ის ქმარს არ გაჰყოლია და თავისი ცხოვრება რომელიმე მამაკაცის ცხოვრებასთან არ შეუკავშირება, მანამდის ის სამოქალაქო უფლებასაც არ არის მოკლებული. მაგ. დედამამისაგან დატოვებულ უძრავ-მოძრავი ქონების თანასწორათ გაყოფა დებსა და ძმებს შორის და სხ. (ჩვენ აქ არ ვეხებთ პოლიტიკურ უფლებას, როგორც მაგ. დეპუტატთა არჩევა და სხვ. ეს ხომ მათთვის აკრძალული ხილია, როგორც საფრანგეთში, ისე სხვაგან). მაგრამ ქალი მუდამ ქალიშვილობაში არ რჩება და ბოლოს, რასაკვირველია უმზავლესობა, ქმარს მიჰყვება და ოჯახს ეკიდება, და, აი, სწორეთ იმ დღიდან, რა დღესაც მან

სხვა კაცის სახელი დაირქვა, ის ჰკარგავს იმ სამოქალაქო უფლებას, რომელიც მას მინიჭებული ჰქონდა ქალიშვილობაში. რა მოხდა ისეთი, რომ გუშინდელი უფლების პატრონი, დღეს მანვე ხელაღებულია? დიდი არაფერი. მან დღეს თავისი ცხოვრება მამაკაცის ცხოვრებას დაუკავშირა, ხოლო მამაკაცი წარმომადგენელია კაცობრიობის მძლავრი ნაწილისა და, რასაკვირველია, რომ მამაკაცებმა, რომლებიც მთავრობას სათავეში უდგიან და კანონებს ჰქმნიან, ქალთა ინტერესები და მათი ბედნიერება მამაკაცთა ბედნიერების სამსხვერპლოზე ზეარაკათ შეწირონ.

მაშ ქალის ბედი ჯვარისწერის დღიდან შესამჩნევათ იცვლება. ხოლო ჯვარისწერის წესრიგი ყველასათვის ერთ ყალიბზე ჩამუხმული არ არის. ხშირათ კერძო პირობებით კავშირდება ქალი კაცთან და ამ შემთხვევაში თითოეული მხარე ეცდება თავისი ინტერესი დაიცვას და როგორც უჯობს ისე მოიქცევა; და მაშ ამაზე არაფერი ითქმის. მხოლოთ ამ კერძო პირობებს გარეშეა ერთი, საყოველთაოთ ცნობილი წესრიგი, ევრეთ წოდებული communité (ურთიერთობა) და რომლის თანახმათ ხდება უმრავლესობა ჯვარისწერისა. ამ წესრიგის ძალით, ქალის და კაცის ქონება შეუფლებების დღიდან საერთო ხდება, ხოლო ამ საერთო ქონების გამგე-პატრონი კი კაცია. მას ნება აქვს ამ საერთო ქონებიდან, რაც უნდა, ის გაჰყიდოს, როგორც უნდა ისე მოიხმაროს; აქ ქალს არა ეთქმის რა, რადგანაც სახელი თუ შიგ მისი ურეეია, სახრავი ქმრის არის და კანონსაც ასე სურს. ასე რომ ქალი სულ ცალიერზე რჩება და მას ამ შემთხვევაში არავითარი უფლება არ ეძლევა.

თუ მას არავითარი უფლება არ აქვს ამ საერთო ქონებაზე, აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ მას არავითარი ნება არ ექნება, რომ რაიმე საანგარიშო ბარათები, ექსილები გასცეს. და მართლაც რომ ეს ასეა. და ან ვის რათ უნდა ისეთი თამასუქი, რომელსაც ძალა არ ექნება. ცოლისაგან გაცემულ ბართზე; თუნდ ის ხუთ მანეთსაც არ აშორდეს, ქმარს ნება აქვს უარი უთხრას ბართის მქონეს და ხანა გამშრალი უკან გააბრუნოს.

არის შემთხვევა, როდესაც ქალის ხელ-მოწერილ ქალად, მნიშვნელობა ეძლევა; ეს მაშინ, როდესაც მას ამაზე ნებართვა აქვს აღებული ქმრისაგან, და ყოველ კერძო შემთხვევა-სათვის კი კერძო ნებართვა საჭირო. ხოლო ვაჭრის ცოლებს ეძ-

ლევით ერთხელე რწმუნების ქალაღდა თაიანთ ქმარებისაგან და მათთვის ყოველ-წუთში ნებართვის აღება საქირა აღარ არის.

თუ რამდენათ ქალი მოკლებულია უფლებას, თავისი შრომით მოგებულ ფული თვითვე მოიხმაროს სურვილისამებრ, და რამდენათ ამ შემთხვევაში ქმარი ბატონობს, ამას შემდეგი მაგალითი დაგვანახებს. ეთქვით, ქალმა შეიტანა ფული შემნახველ-გამსესნებელ კასსაში თავის სახელზე და ორსამ თვეს შემდეგ სურს ისევე გამოიტანოს და მოიხმაროს, მაგრამ ფულის შენახვის ნება თუ კი ჰქონდა, გამოტანის კი აღარ აქვს, რადგან კანონი შემდეგს ამბობს: „ჯვარ დაწერილ ქალებს, როგორც უნდა იყვეს მათი შეუღლების რეჟიმი (წეს-რიგი), ნება ეძლევათ თავისი ქმრების დაუსწრებლათ წიგნები გაიხსნან (ე. ი. ფული შეიტანონ), მათ შეუძლიათ შეტანილი ფული გამოიტანონ ქმრების დაუსწრებლათ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას ქმარი ეწინააღმდეგება“²⁾; ე. ი. თანხმად ქმრის ქეიფისა. როდესაც ქალმა ფული შეიტანა, მაშინ მისთვის არავის უკითხავს ეს მას ეკუთვნოდნო თუ სხვას, ხოლო გამოტანის დროს ეკითხებიან ეს ფული რომ მიგაქვს შენი ხომ არ არისო. სწორეთ რომ ახირებულია!

ან და მაგალითათ, ცოლ-ქმარი ერთათ ვერ მოთავსდენ; მოწყინდა ქალს ქმრის მუდმივი ბატონობა; აყალ მაყალი მოსდით ურთიერთ შორის და სურვილი აქეთ ერთი მეორეს გაეყარონ. ძველი, წარსული ცხოვრება ამაზე ნებას არ რთავდა, რაც ღმერთმა შეაერთა „კაცმა ნუ განაშოროსო“. მაგრამ ეს დაწესებულება ხომ იმ ცხოვრების ღვიძლი შეილი იყო, რომელიც ერთ წერტილზე გაქვევებული ეგონა კაცს. ამ შემთხვევაში ცოლ-ქმრულ კავშირსაც მუდმივი, განუყრელი ხასიათი უნდა ჰქონოდა. იყო ძველათ კიდევაც მაგ. რომ ცოლებს ცოცხლათ ატანდენ ქმრებს მიწაში. მაგრამ მუდამ ცელილებაში მყოფმა ევროპის ცხოვრებამ ცოლ-ქმრულ კავშირსაც დააღდა თავისი ცვალებადობის ბეჭედი; ამ კავშირს ჩამოაცალა მისტიკური (კანგებიათ) ხასიათი, რომლითაც ეს დაწესე-

ბულება ღვთისაგან მოვლენილათ ითვლებოდა და უბრალო სამოქალაქო მოვალერბათა სიაში ამოაყოფინა თავი. ასე რომ დღეს არც საფრანგეთში და არც ინგლისში საქარო აღარ არის მღვდლებისაგან ლოცვა-კურთხევა. ახალი დანიშნულები მივლენ მეერთან (ქალაქის თაგია), თავის სურვილს გამოაცხადებენ, ისიც ჩანიშნავს წიგნში; კანონისაგან დანიშნულ ფორმულას წარმოთქმევენებს და შინ გაუშვებს. და მერე ვისაც სურს ეკლესიაში წავა ან და არა, ეს სავალდებულო არ არის. თუ ცოლ-ქმარი ერთათ ვერ მოთავსდენ, ერთი მეორეს ეყრებიან. ასეთ შემთხვევაში 1884 წლამდის საფრანგეთში ქალი დიდათ დასჯილი იყო. ქალს თუნდ თავის ქმრისათვის მრუშობაშიაც მოესწრო და მოწმებითაც შეძლებოდა ამის ახსნა, ნება არ ჰქონდა გაჰყროდა თავის ქმარს, ხოლო კაცისათვის ასეთი შემთხვევა საკმარისი იყო რომ ხელცარიელი ქალი ღვთის ანბარათ გაეშვა. ხოლო 1884 წელს ეს ახირებული კანონი შეუცვლიათ, რე ამ მხრით ახლა ქალი და კაცი თანასწორ პირობებში არიან; ე. ი. როგორც კაცს აქვს უფლება გაეყაროს თავის ცოლს, ისე ქალს — გაეყაროს თავის ქმარს.

მაგრამ თუ სამოქალაქო უფლება ამ შემთხვევაში ქალს კაცს უთანასწორებს, მაკერში სისხლის სამართლის წესდებულება, (code penal) ძველ უთანასწორობაზე და ქალის დამონაგებაზე აგებული, ისევე ძალაშია. აი, რას ამბობს ეს წესდებულება: „ქალი მრუშობაში შენიშნული დაისჯება ციხეში ჩასმით არა ნაკლებ სამი თვისა, ვიდრე ორ წლამდის, ქმარი რჩება ბატონი შეაჩეროს ეს გადაწყვეტილება თუ დათანხმდა ქალის უკან დაბრუნებაზე. და ქმარი კი, უკეთუ მას ოჯახში ხასა ჰყავს და ამაზე მას ცოლი უჩივის, დასჯილი იქნება ჯარიმით: ასი ფრანკიდან ვიდრე ორი ათას ფრანკამდე“. მაშინ როდესაც ქალს ორ წლამდის ციხეში აპატიმრებენ კაცი იოლათ მიდას და მხოლოდ ფულს იხდის. ნათქვამია, სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტყინებაო, ხოლო ამ გვარათ მოჭრილი ხელი ძლიერ მწყვეცე იქნება. ეს შემოთმოყვანილი უსამართლობა შემდეგი უსამართლობით გვირგვინდება. მაგ. კაცმა თავის ცოლს მოასწრო ორგულობაში და თავის სამართალს მიმართა, ე. ი. ცოლიც მოკლა და მისი საყვარელიც. ასეთ შემთხვევაში კაცს შეღავათა ეძლევა (est excusable). ხოლო თუ ქალმა ასეთსავე პირობებში კაცის მკვლელობა ჩაიდინა, მისთვის არავითარი შეღავათი არ არსებობს. მოჰყავს რა ეს მაგ. ლუი ბრედელს, თან დასძენს:

²⁾ Melandes feministes, questions de droit et de sociologie, par Louis Bridel, professeur à la faculté de droit à Genève. საზოგადოთ ამ წერილში მოყვანილი ცნობები ამ მეტათ სინტერესო წიგნიდან ვეაქვს ამოღებული. Code penal, art 337 et 339, par Louis Bridel.

არც ერთ ევროპის მხარეში ასეთი წესი არ არსებობს.

ერთი სიტყვით, სადაც კაცის და ქალის ინტერესები, იქნებიან ისინი ცოლ ქმარნი, თუ დედ-მამა, ერთმანეთს ეჯახებიან, იქ უთუოთ კაცი იმარჯვებს და კანონიც მას მზრუნველობით ხელს აფარებს. რაღა დარჩენია ქალს, რომ თავი დააღწიოს ამ დაბეჩვებულ ცხოვრებას, თუ არა ის, რომ გაეყაროს თავის ქმარს (divorce), ან და მას გამოარდეს (separation de corps), რადგან ასეთი გაყრით ქალი თავის უფლებას აღადგენს და ქმრის ბატონობას იცილებს. მართლაც ეს არის მართლ. მისი სახსარა და მით ხშირათ სარგებლობს ფრანგის ქალი.

ე. — შვილი.

(შემდეგი იქნება)

შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

როდესაც ჩვენ ქრ. კვლევაზე სხვა ტომის შიში რამე უსერსულს დაწკნის, ჩვენ უფრანღ-გაზეთებში ატუდება მაშინვე ერთი აუღელ მუღელი წინააღმდეგ გამოქვეყნებული აზრისა. ეს ძლიერ კარგია და ასეც უნდა იყოს; მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენი საწინააღმდეგო სტატიის იწერება ან რუსულ და ან სხვა ევროპულ ენაზე. ჩვენ კი მასუსს ვამდებთ ქართულთ; ეს ჩვენის აზრით არ არის მოსაწონი. სადაც გაგვანძღავს ვინმე, იქვე უნდა გადაუსაღო შენც თუ შეკიდლოა. ჩვენი აზრით საზოგადოებო და სხვა სტატიები, როგორც თ. აკაეის სტატია კრებულში ბ. მარის სახასუსოთ, თ. ი. გ. ჭ — მისა გაზეთ „ივერიაში“ შემდეგი სათაურით: „სომხების შეტნიკენი და ქვათა დღადი“ და სხვა ამისთანები უნდა იბეჭდებოდეს ან რუსულ და ან სხვა რომელიმე ევროპულ ენაზე. ჩვენ გვლანძღავს და ცუდათ გასსენებს ბ. ბ. ნიკოლსკი, მატკანოვი და სხვები ესენი ვგვლანი წერენ რუსულ ან ფრანგულ ენაზე და ჩვენზე ცუდ აზრს აწოდებენ მთელ განათლებულ ქვეყანას, ჩვენ კი ერთი შეკარეს ვატყობინებთ, რომ ამა და ამ შიშმა ჩვენზე უსახუთო წერილი დაბეჭდა ამა და ამ ევროპულ ენაზე. ბ. ბ. მატკანოვები რისთვის წერენ რუსულ ან ფრანგულ ენაზე ამისთანა სტატიებს და ან თაგისაში? რისთვის აწერენებენ სომხები სხვა ტომის შიშებს სხვა და სხვა ენაზე და თვითონ არ წერენ სომხურ ენაზე? ჩვენი აზრით ამისთვის, რომ რაც შეიძლება უფრო გავრცელდეს და უფრო დიდი ავტორიტეტი ექნეს ამ სტატიებს. ჩვენი მასუსებიც რაც შეიძლება უფრო უნდა გავრცელდეს. ჩვენ გვტყვობან, რომ მარმა, მატკანოვმა და სხვებმა, რომელნიც ჩვენზე სტა-

ტიებს წერენ, ქართული ან იტალიან და ან უნდა იტალიან მაინც ძლიერ კარგი, მაგრამ ამისთანა სტატიებს დიდი მნიშვნელობა აქვს ანამც თუ ამ შიშისთვის, რომელიც შეტყვებული არის, ანამედ ვგვლას განათლებული კაცისთვის. მაგალითათ როდესაც ამ დღეებში ერთ განათლებულ ამსხანგს გავაცანი შინაარსი ერთ — ერთი ი. გ. ჭ — მის ფელეტონებთანისა, ძლიერ საწყენათ დაუწახს ამ შიშს, რომ თვითონ არ შეუძლოა წაითსკა ვგვლას ფელეტონების ქართული ენის უფრადინარობის გამო. ჩვენ გვტყვობან, რომ ვინმე გადათარგმნის და გაცნობს მათ შინაარსს უფრადელებსო, რისთვის არა გვქონდეს სხვისი იმედი? ან და რისთვის უნდა მოვინდომოთ ერთ და იმავე საქმეს რა ზომა მუშაობა? ჩვენ განათლებულმა ქართველებმა, ძლიერ კარგათ ვიცით, რომ გვამტყვობან სომხები და სხვები, სოლო განათლებული სოფლის ხალხისთვის ეს ფელეტონები საჭირო არ არის.

ბაქო.

განკლი.

პირველი მისის ტირაჟი.

პეტერბურში. სათავად აზნაურო სესხის ტირაჟი: 200,000 მან. —

14184/35;	75,000—4313/3;	40 000
—2792/6;	25,000—9992/28,	
10,000—10936/48;	14,330/40,	
2946/8;	8,000—11922/40,	1258/23
15948/36,	11,503/25,	12080/30;
5,000—1978/20,	2081/2,	5981/8,
8749/8,	5409/32,	167/36,
1815/11,	4862/44;	1,000—
3634/32,	2738/36,	12812/25,
4638/47,	10350/35,	3444/13,
15321/14,	1746/3,	11682/22,
11103/34,	8110/27,	5437/33,
5773/10,	12526/33,	10973/33,
8660/16,	6522/3,	5283/7,
15026/30,	719/11.	

„კვალის“ და „ჯაჯილის“ რედაქციის

იყიდას შემდეგი საგუთარი გამოცემები:

- თამარ დედოფლის სურათი 1 მ. 50 კ. (გასაგზ. 30 კ.)
- ალბომი „ბუნება სურათებში“ ყდ. 1 მ. 30 კ. (გასაგზ. 40 კ.)
- პატარა ლორდი 30 კ.
- ჩვენი ძველი გმირები 30 კ.
- თეთრი და ზანგი 15 კ.
- სოლომონ მეფე 10 კ.
- ორი მოთხრობა ეგ. ნინო შევილისა 10 კ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ. - წერეთლისა.